კვირა 26 ოქტომბერი
1930 წ. № 40
ფასი 10 კაპ.

ტრაქტორი

საბჭოთა მეცნიერებათა აკადემიის
ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук СССР
12 581

კოლექტივის მოსავალი

კოლექტივს კარგი მოსავალი აქვს და
გივოს უხარია

(იხ. მე-16-ე გვ.).

„მოკლე ფეხები“

ჩვენი სოფლის დაუძინებელი მტერი გლახუნ ოქრუაშვილია. კულაკებთა სიაში ის პირველ ნომრით იწყება.

წინად გლახუნის ქონება მთელს ჩვენს სოფელს იყიდდა, ღღეს კი მას ცუდათ აქვს საქმე, მაგრამ არც ისე — „შავი დღისათვის“ შემონახული საკმაოდ აქვს.

კოლექტივს ვერ გააგონებ, იცის, რომ მისი „მესაფლავე კოლექტივია, მაგრამ აშკარად გამოსვლას მის წინააღმდეგ ვერ ბედავს; ისე კი ცდილობს რაიმე ავნოს. მისი მეოხებით რამდენიმე გლეხი კოლექტივში არაა ჩაწერილი; მათ შორის გიგა ბარიაშვილიც, ჩვენი სოფლის ერთ - ერთი ღარიბი გლეხი, რომელსაც გლახუნი ბავშებს უნათლავდა წინად.

— რა ხეირი გეჭნება მაგ გლახებთან? შენთვის იმუშავე, თუ დახმარება დაგჭირდება, აგერა ვარ! ეუბნებოდა გიგას ოქროაშვილი.

გიგაც მოტყუვდა: კოლექტივის წევრობაზე ღარი განაცხადა.

— : —

წრეულს ჩვენს სოფელში დიდებული მოსავალი იყო. ჩვენმა კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა პურის დამზადება. მოსავლისა და კოლექტივიზაციის ღიღ ჩინებულად ჩატარდა. სოფლის შუა ადგილას მოეწყო კოლექტიურ მეურნეობის გამოფენა, რომელსაც ათვალიერებდა მშრომელი ხალხი და ეცნობოდა სოფლად სოციალისტური აღმშენებლობის მიღწევებს. კოლექტივის ხელმძღვანელები აცნობდენ ხალხს, თუ როგორ გადიდდა ნათესი, აიწია მოსავლიანობამ და გაუმჯობესდა კოლმეურნეობის სხვადასხვა დარგების პროდუქციები. ამ ღღისათის მოეწყო ჩვენი სოფლის საბჭოს გაფართოებული პლენუმი, რომელზედაც დაესწრენ მოჯამაგირეები, საშუალო და ღარიბი გლეხები. საბჭოს თავმჯდომარემ სიმონ გაბედულაშვილმა ვრცელი მოხსენება გააკეთა პლენუმზე სამეურნეო წლის შედეგებზე, მისი მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი გამოირკვა, რომ კოლექტივის მუშაობაში მრავალ მიღწევებთან ერთათ ადგილი ჰქონდა დეფექტებსაც. მაგალითად, მოსავლის განაწილებაში არ ყოფილა დაცული პრინციპი დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. მამაკაცის შრომა ჩაუთვლიათ უმაღლეს ხარისხის შრომათ, ქალის კი — უმდაბლესად.

გიგა გაკვირვებით ისმენდნა თავმჯდომარის მოხსენებას, მან ისიც გაიგო, რომ მოსავალი ნაწილდებოდა კოლექტივის წევრთა შორის.

— მომეცით სიტყვა! მიმართა მან თავმჯდომარეს.

— ეხლა კი თვალები ამეხილა, — დაიწყო მან,— ოქრუაშვილმა მომატყუა, ოქროაშვილი მეუბნებოდა: კოლექტივის წევრები იმუშავებენ და მოსავალს კი სახელმწიფო წაიღებსო... ჩამწერეთ, ჩამწერეთ მაგ კოლექტივში! — დაასრულა მან თავისი სიტყვა, რომელსაც ხალხი აღტაცებით შეხვდა.

პირველ შეხვედრისთანავე გიგამ საყვედურით მიმართა გლახუნს:

—პატიოსანი კაცი მეგონე, გლახუნ; თორმე ტყუილი გცოდნიათ, მაგრამ ხომ გაგიგონია: ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო?!

ნიანგი.

ჭკვიანი ღორი



— ეჰხ! თუ არ შეუდექი ხვნას, იქ ისეთი ბიუროკრატები სხედან, რომ თესვის კამპანიასაც ისევე დაივიწყებენ, როგორც ჩემი საქმე დაივიწყეს!

„ტარტაროზი“-ს
მზადდება
ოქტომბრის
სპეციალური
ნომერია
თანამშრომლებს ვსთხოვთ დაჩქარებით მოგვაწოდონ მასალები

გვიან გაიღვიძეს



— მეგობარო, ავტო გაგვიფუჭდა, მიაბი შენს ტრაქტორს და წაგვიყვანე. საჩქარო საქმე გვაქვს სოფლად, თენგვის კამპანიის ჩასატარებელი ცირკულიარები და ანკეტები მიგვაქვს!

— არა მცალია.. რა დროს ცირკულიარი და ანკეტებია! საქმეზე მიმეჩქარება, დღეს თესვას უკვე ვათავებ!

ორი ძმა

—არ გაბრიყვდე, და არ გადაცდე, ყარამან, კოლექტივში არ ჩაეწერო. არც შენ ძმას, ვანოს დაანებო ჩაწერა, თორემ ორივე ძმები დაიღუპებით! — ურჩია იულოს მეზობელმა კულაკმა.

— რავა შევიშლები ჭკუიდან, რომ ჩემი დასაკლავი დანა მევე გავლესო! — გადაჭრით დაეთანხმა იულო ივლიანეს.

ღამოს, როცა ვანო კრებიდან დაბრუნდა შინ, უფროს ძმას, იულოს, ახარა, რომ კოლექტივი დაარსდა და შიგ ჩავეწერეთ.

— ბიჭო, ხომ არ გაგიჟდი შენ? დილიდან საღამომდე ოფლსა ვღვრით და ცხოვრება მაინც გვიჭირს; შენ კი კოლექტივში ეწერები? — უსაყვედურა ძმამ.

— სწორედ მაგისთვის ვეწერები. კოლექტივში მეტი დოვლათი იქნება, ცხოვრება უფრო გაგვიადვილდება! — თავისას არ იშლიდა ვანო .

— ბიჭო, მამა ჩვენსა და ჩვენს წინაპრებს თავი უკლავს ჩვენს მამულში, რამდენი ოფლი ჩაუღვრია; არ გახსოვს საზღვრის თაობაზე გიორგისთან რა ამბავი მოუვიდა საწყალ მამა ჩვენს? კაცი მოკლა ერთი ტკაველი მიწისათვის. არ გახსოვს, ბაბუაჩვენი, როგორ ურგავდა საზღვარზე ხეებს ლეგარსის, რომ თანდათანობით საზღვარი იქით გაწეულიყო და ჩვენ მიწა შეგვმატებოდა? ბიჭო, შენ ხომ არ გაგიჟდი? ცოლშვილს, რომ ხელი მოჰკიდე, რჩენა არ უნდა მათ, თუ იმას ფიქრობ, რომ მე გაგიწევ დახმარებას? მე ჩემი ცოლშვილი ვერ მირჩენია... არ გადირიო, არ ჩაეწერო კოლექტივში!

მაგრამ ვანომ მაინც თავისი ჰქნა: გამოეყო ძმას და კოლექტივში ჩაეწერა.

— : —

კოლექტივში გაჩაღდა მუშაობა.

ტრაქტორი შეიძინეს.

დროზე დათესეს ყანები.

ნიადაგის ვარგისიანობის მიხედვით მინდვრები დათესა სხვადასხვა ხორბლეულით და ბოსტნეულით.

კოლექტივს სახელმწიფო ორგანოები და კოოპერატივები ყოველგვარ დახმარებას უწევდენ.

კოლექტივის წევრებს ყელაფერი ჰქონდათ.

იულომ ყურები ჩამოყარა, მაგრამ კულაკი ივლიანე ამშვიდებდა:

— მოსავალი არ ექნებათ! ჩხუბი მოუვათ გაყოფაზე... კოლექტივი დაიშლებაო.

აღღეს მოსავალი.

ყველას საკმაოდ ერგო თავის წილი წლის ბოლომდე საყოფი.

რამდენიმე ფუთი მარცვლეული ფონდში გადარიცხეს ღარიბების დასახმარებლად.

ყურებ ჩამოყრილმა იულომ, ცხვირიც ჩამოუშვა ძირს და ჩუმად თავისთვის ბუზღუნებდა.

ღმერთი არ სწამთ და ხატი; მე კი ორივე მწამს. მათზე მეტს ვმუშაობდი, მაგრამ მოსავალი მაინც ცოდი მომივიდა. ეს არის, რომ ამბობდენ: — ჩვენში ტრაქტორი არ ვარგაო! ამას მგონი ვიღაცა პროფესორიც ამბობდა. არაფერი სცოდნიათ ღმერთსა და პროფესორს. —ფიქრობდა იულო, მაგრამ კოლექტივში შესვლას მაინც ვერ ბედავდა.

იულოს მალე გამოელია სარჩო.

ცარიელი ტომარით ძმას მიადგა.

— კი, მაგრამ შენაც ხომ ჩემდენი გაქვს მიწა, რა ტომ ჩემდენი მოსავალი არ მოგივიდა? აკი ამბობდი, რომ კოლექტივს მოსავალი არ ექნებაო? — გაახსენა ვანომ ძმას ნალაპარაკევი.

— რა ვიცი, კაცო, ხუცესი ასე მეუბნებოდა და ივლიანეც! — თავი იმართლა იულომ.

ვანომ ტომარი გაუცსო ძმას და სახლში გაატანა.

მეორე დღეს იულომ კოლექტივში განცხადება შეიტანა მისი მიღების შესახებ.

რინ-ტინ-ტინ.

სიკო სოფლად

რა სჯობია კარგ მოსავალს
შემოდგომის,
როგორც ნაყოფს სოფლურ-გლეხურ
მძიმე შრომის?!.
მაგალითად: შემწვარ სიმინდს,
ზედ — ცხელ მაჭარს;
კვახს, მოხარშულს, ან ფელამუშს,
ცივს, მოსაჭარს;
ყურძნის ჯაგანს, აკიდოსა,
გინდ ცალ მტევანს,
ან და შემდეგ — ღვინოს ქვევრში,
დაულევარს;
ჩასუქებულ ინდაურსა,
ბატს, იხვს, ქათამს;
იმათ საცივს და შიგ ახალ
ღომის ნათალს;
სხვადასხვა ხილს: მსახლს, ვაშლს,
ონაბს,
ატამს, ბიას;
დაწუნება არ ექნება
არც ლობიოს,
ძმრით ჩაწმახულს, ამოლესილს
დიდ ქოთანში...
ნერწყვი მდის და მთლად ერუან-
ტლა
მივლის ტანში,
და დოვლათს რომ მოვიგონებ
ხოლმე სოფლის!..
მხოლოთ, როცა წარმოვიდგენ,
თუ რა ოფლის
დაღვრაც უნდა მათ მოწევას
და მიღებას,
სადაც შრომის ვერც ასწრებ
დათარიღებას:
წლიდან-წლამდე წელებს ფეხი
იდგა უნდა,
რომ კვლავ ავლო საწებელში
ღომის გუნდა,
რომ შემწვარი, გინდ მოხარშულ
კვახის ნაჭერს
სტაცო ხელი, შემდეგ კბილსაც
რომ დააჭერ,
რომ ხახაში გადაუძახო
ხილს, გემრიელს,
და გემოც ხომ ისეთი აქვს
იმ სატიელს,

ნეტარებას რომ გრძნობს მისგან
შენი სასა...
მხოლოთ გემოს, სიტკბოებას
სოფლისასა,
რაც წინ უსწრებს, ნურც ის გაწყენთ
გასაცნობათ,
შემოდგომის მოსავალის
შესამკობათ:
აჰა, ზამთარს ძლივ უცვდება
ლილახანა,
რომ გლეხს სოფლად აუტყდება
კეფის ფხანა,
რადგან დგება საზრუნავი
მის წინ ვრცელი:
ჯერ მას ტყე აქვს თუ ჯაგნარი,
გასაცელი,
გასაკაფი, გასაჩეხი,
გასაწმენდი,
დობილოა იგი, ბარი
თუ მთის ფერდი,
სადაც როგორც მიუდგება
მისი ფეხი,
არ მორჩება გლეხს გაუჭრელ
გაუჩეხი,
და შემდეგ ხომ—გაუხმობი,
დაუწვავი
ყოველივე ეს—ნაჩეხი,
ნაკაფავი.
შემდეგ მიწა უნდა მოხნას
კავით, გუთნით,
თუ არა და, დაიძაბოს
უნდა კუნთი,
და თოხით ან ბარით მიწა
უნდა ცხრილოს,
თუ არ უნდა, წლის შრომა რომ
გაიწბილოს...
კვლავ მოთესავს: სიმინდს, ღომს,
პურს,
ქერს თუ შვრიას...
მარგვლა, თოხვა, წმენდა, რაც კი
შეუძლია,
თავს მოვლება ყანის, ბახჩის,
ბაღ-ვენახის,
შემოდგომით ზამთრისათვის
შესანახის
მოსავალად, წლის დოვლათად,
მოსაწევად...
დიახ, შრომა გლეხს მიუჩანს
უღლის წევად,
გულის ლევად, ჯანის ცვეთად,
ძარღვის წყვეტად!..
სოფლურ შრომას აღარ ვხატავ
ამის მეტად!

მხოლოდ ვამბობ: ეს სურათი,
აგი სახე,
წარსულ დროთა სიმახინჯე,
სივაგლახე,
დღეს იცვლება კოლექტიურ
შრომით, ძმურით,
სხვა სახით და სხვა სურათით,
საამურით!..
მოსავლის და კოლექტიურ
შრომის დღესაც
ამ შრომისკენ გზის გაწალდვა
უვის წესად!
ეს იცოდა ჩვენმა სიკომც,
ქალაქელმა,
სოფლისაკენ პირი რომ ქნა
ბიჭმა, ქველმა,
გულკეთილმა, სოფლისთვის
თავდადებულმა,
მოსავლის დღის მძლე იდეით
აღგზნებულმა,
კოლექტიურ შრომისა და
ყოფის კაცმა,
რომ არ შედრკეს, თუნდ ამისთვის
შეხვდეს ჯვარცმა!
ის მზად არის თავის მსხვერპლად
მისატანად...
და სოფლადაც მისთვის მიდის
ის ამ ხანად:
ჩაატაროს უნდა ამ დღის
კამპანია...
რა თქმა უნდა, საქმე დიდ
თავ-საფხანია,
დიდი უნდა მიდგომა თუ
სხვა რომ სენთი,
მხოლოთ, ვისაც აღარა აქვს
ეს არც ერთი,
მიდის ისე, „ნაურაზე“,
როგოც ჯიქი,
და ყველაფერს უცქერს ვარდის
ფერი ჭიქით!..
სიკოც სოფლად მითოხმახდა
ლურჯა ცხენით,
და რაც ნახა, ვინ გამოსთქვას
იგი ენით,
რაც ჩვენ უკვე აგიწერეთ
ლექსის თავში,
რაც ოცნებით ეხატოდა
სიკოს გზაში!..

ჰაზირა

ხრეითის ფოსტალიონ ნესტორის თესვის კამპანია.

კოლექტივის გრალია

— საწყალი ჩემი ცხენი! კოლექტივის ჯავრისაგან სულ ერთიანად გახდა!

თემებში

ბოჩა — ჯიხაიში (სამტ. რაიონი)

—თქვენი არტელის თავმჯდომარის მათე კიკაჩეიშვილის ნახვა მსურს, სად იქნება თუ იცით!

— ეშმაკმა იცის მისი თავი! ვინ გაიგებს, სად დაძვრება! ის თავის მოვალეობას პირნათლად არ ასრულებს, არ აქცევს ყურადღებას არტელის შრომის დისციპლინის საკითხებს და...

— უკაცრავად მაგაზე ლაპარაკი მე არ მსურს. გავიგეთ, თქვენ არტელს სიმინდი ქონებია გასაყიდი; თუ მართალია, მოგვეცით!

— დეიფსო კიკაჩეიშვილის ოჯახი, მქონდა 500 ფუთი სიმინდი, მაგრამ ცამ შეჭამა თუ დედა-მიწამ, ვერ გავიგეთ. ბოროტი ენები ამბობენ, ვითომ არტელის გამგეს კერძო ვაჭრისათვის მიეყიდოს.

ს. ჩადუნიანი (ლაგოდეხის რაიონი)

სასოფლო სამეურნეო არტელ „ოქტომბრის ქარიშხალში" შეეიარე. არტელის ყველა წევრები აღმფოთებული ლაპარაკობდენ.

— რა ამბავია, რაშია, საქმე, ამხანაგებო?

— გვიშველეთ, შენი ჭირიმე! აგვიკლეს, გაგანადგურეს. ჩვენი არტელის წევრმა შუტიაშვილმა ზოგიერთ კოლექტივის წევრებმა, კომკავშირელებიან ერთად, არტელის 45 ფუთი ხორბალი ფარულად კერძო ბაზარზე გაყიდეს.

— ნუ გეშინიათ. ამხანაგებო, მეგობრებო! გული არ გაიტეხოთ, მალე იქნება თქვენი არტელი გაწმენდილი კულაკების დამქაშებისგან.

ძირულელი თადა.

შეპარული

კოლექტივის თავმჯდომარეთ, როგორც იქნა მოახერხა კვინტაძემ გაძვრომა.

— მარტო თავმჯდომარეობას რა თავში ვიხლი, საქმეები ხომ უნდა მოვაჯახრაკო, — გაიფიქრა კვინტაძემ და კრება მოიწვია.

— ჩვენი კოლექტივი პირველია ნთელ ამ მხარეში, მაგრამ არ უნდა გადავაჭარბოთ, თორემ მემარცხენეობას დაგვწამებენ! — დაიწყო მან. მაგალითად, ხარების გაერთიანება არ ღირს... (კვინტაძეს ორი ულელი ხარები ყავდა).

— კი მაგრამ მუშა - საქონელი გაერთიანეთო, რომ იწერებოდენ? — იკითხა ერთმა.

—აი, ეს არის მემარცხენე გადხრა! მუშა - საქონელი კი, მაგრამ ხარები რა შუაშია, ხარები შინ გვყავდეს უკეთესია.

— კამეჩები?

— კამეჩები კი, ეგ უსათუოდ უნდა გაწესაზოგადოდეს (კამეჩები გაყიდა კვინტაძემ).

— ცხენები?

— ცხენები! მე მაგალითად, ორი ულაყი მყავს და ორივე საჯდომად მინდა, კოლექტივის თავმჯდომარე ვარ... სხვებმა კი უნდა გაერთიანოთ.

— მეწველი საქონელი?

— მეწველიც უნდა გავაერთიანოთ! (კვინტაძემ მოასწრო სამი ძროხის გაყიდვა), და რძე სერთო უნდა იყოს.

— მიწები?

დაიბნა კვინტრაძე, რადგან ექვსი დღიური საუკეთესო მიწა ქონდა.

— მე მგონია, არ ღირს მიწების გაერთიანება, მემარცხენეობას დაგვწამებენ...

— კაცო, მაშ ისე რაღა კოლექტივია?

— კოლექტივი კი არა, კოლმეურნეობაა. კოლმეურნეობაში მიწების გაერთიანება არ შეიძლება, ოპორტუნიზმი გამოდის, — დაიწყო მტკიცება კვინტრაძემ.

სულ რაღაც ორ კვირაში, ცენტრიდან ჩამოსულმა ქარხნის მუშამ ვაგებინა ყველას, რომ კოლმეურნეობა და სასოფლო სამეურნეო კოლექტივები ერთია და თვით კვინტაძე კი კულაკების მოციქულია.

რაღა თქმა უნდა, კვინტაძე მიაბრძანეს... მისი მიწების გამოკლებით.

მე—ლო.

ნაწილი მეოთრე

მეთერთმეტე თავი

აქა ამბავი

მოხეს დეკრეტებზე

და მენშევიკების სალოცავ ჯერპებზე

რომ არსებობდა ბოროტი ხალხი,
დაწერილია ბევრი თაბახი, —
თაბახი კი არა—მთელი დასტები,
მთების ოდენი,—თუ არა ვსცდები!
აიღებთ ხელში ძველს, თუ ახალ აღთქმას,
ყველგან შეხვდებით თქვენ ამაზე თქმას!
იმ თავით არის დაწესებული,
რომ ბოროტისკენ მიიწევს გული, —
აბრამის, თუ მოსეს, ივანეს, თუ პეტრეს,
ვინც არ უნდა იყოს, სულ ერთი არის ეს!
რა ხალხიც არ უნდა იყოს,—
ბოროტი წევრი მუდამ ჰყავს.
ეგვიპტიდან გასვლისას ებრაელებს.
ისე, როგორც სხვა ერებს,
ბევრი ასეთი წევრები ყავდა,
რომელიც სხვებისას წითი წყალივით ჰგავდა.
იქ—შვილმა მამას გაუტეხა თავი.
აქ—ქურდმა მოიპარა ცხენის მოსართავი
იქ—ძმამ ძმას მიათალა ყური.
აქ ბელლიდან მოიპარეს პური.
იქ—გოჭი წაიყვანეს, ქათამი, თუ ცხვარი.
აქ—ცხენი, ძროხა, ან ხარი.
იქ—დღის სინათლით, ცხადათ,
ტანზე გაეხადათ!
აღარ არსებობდა მათთვის რამ კანონი.
რაფიდინს მოოიხმო მოსემ აარონი.
—იცი, მეგობარო, ჩვენ რა უნდა ვქნათ?
ყოფა-ცხოვრება უნდა გარდავქმნათ!
მაგარი ხელით,
თანაც სიფრთხილით,
ულირს ხალხიდან ჩვენ გავსწმინდოთ დაწესებულება.
შედგენილი მაქ შესაფერი უკვე დებულება.
საქმისთვის იქნება სწორეთ ეს მისწრება!
დაენიშნოთ ყოველგან ჩვენი კომისრები:
ყველა საქმეებს ისინი განსჯიან.
დამნაშავეებს სასტიკათ დასჯიან.
ამრიგათ წესრიგს, რომ დავამყარებთ,
ოამამათ გავსწევთ ჩვენ აღთქმულ მხარეს!...

**
*

სინას მთასთან,—
როდესაც მიაღწიეს მასთან,
მოსემ აარონს ჩაბარა ხალხი ოოსავლელათ.
თითონ გაემართა მთაზე ასასვლელათ.
სადაც დეკრეტების წერას ის შეუდგა,
რასაც ორმოცი დღე-ღამე მოუნდა.
მოსეს იქ არყოფნა როგორც კი იგრძნეს,
მენშევიკებმა ისევ განაგრძეს
თავისებურათ ყალთაბანდობა.
ხომ არ შეიძლება ამ ხალხის ნდობა!
ძველ ცხოვრებაზე იწყეს წუწუნი:
— რატომ დავსდევით ჩვენ ამას წუნი!
რა თავში ვიხლით ჩვენ ახალ ყოფას!
ზნე-ჩვეულება ძველიც გვეყოფა!
— თუ ღმერთი გწამდეთ, ერთი გვითხარით,—
ამ ჩვენ მოუწმენდ წვირტლიან ცხვირით
აღთქმულ ქვეყანაში ვინ გაგვატარებს,
ვინ გვაჭაშნიკებს ჩვენ იქ ტკბილ წამებს?
— სოციალური თანასწორობა
ვის მოესწრება!
— არა, ძმანებო!
ასეთ ოცნებას თავი ვანებოთ!
— დაუყოვნებლივ შეუდგეთ საქმეს,
მამაპაპისგან ნაცადს და ნაქებს!
საერთო კრებაზე ჩვენ დავადგინოთ,
ახალი მთავრობა რომ შევადგინოთ,—
საქმიან წრიდან ამორჩეულის,
მართვა-გამგეობას უკვე მიჩვეულის,
ჭკუიან კაცების,—
სხვადასხვა ოცნებით არ განატაცების!
— მან კლასი კლასთან რომ შეარიგოს;
ქვეყნის დოვლათი არ დაარიგოს
ოარიბებსა და ღატაკებს შორის,
რომელთაც სურვილი არა აქვთ შრომის!
— თუ, რომ შევადგენთ ასეთ მთავრობას,
და ჩქარა შევსწყვეტთ ამ ჩვენ მგზავრობას, —
მოსეს ბუზღუნს ჩვენ ყურს არ მივაქცევთ, —
მით უფრო ადრე მიზანს მივაღწევთ!
ამ ქადაგებამ იცით თქვენ რა ქნა?
თვით აარონიც თითქმის გარდაქმნა!
ბურჟუაზიას იმდენი დაუთმო,
რევოლიუცია თითქმის გააუქმა!
მოხვდა რა „დემოკრატიის“ ბრჭყალებში,
სულ დაუბნელდა თვალებში!
სხვა პარტიებთან შეთანხმების პირობა შეჰკრა.
ხალხის სალოცავათ ოქროს ხბო შექმნა!
გააბეს რა აარონი ასეთ ხიფანგში,
ზეიმი შეიქნა გამცემელთ ბანაკში, —
ეგონათ საქმე სრულიათ მოიგეს,
მთლათ რომ წააგეს,—ჩქარა გაიგეს!..

**
*

ორმოც დღეს სწერდა დეკრეტებს მოსე.
მას მცველათ ედგა ნავინი, იესო.
ძირს რომ გავლენა მას ეცლებოდა,
ამის შესახებ მან არა იცოდა.
ერთ დილით უთხრა მოსემ ნავინს
განზრახვა თავის:
— დრო არის, ვგონებ, ჩავიდეთ დაბლა.
ვგრძნობ, რომ იქ საქმე ვერ მიდის კარგა.
ვინ იცის რა ჰქნეს გაიძვერებმა.
ხომ იცი, ხალხი დამჯერია ბრმა!..
ვაკეზე ფეხი არც კი დაედგათ,
რაღაც ხმაური, რომ შემოესმათ.
ნავინმა უთხრა მოსეს, —
ამ ღრიანცელის მომსმენს:
— მართლაც, იქ ხდება რაღაცა ავი
დიდი ამბავი!
თავზე დაგვესხა ნამდვილათ მტერი!
— მიკვირს, რატომ ხარ ამდენათ შტერი!—
მოსემ დაცინვით ნავინს მიუგო,
ხმაურს, რომ კარგა ყური დაუგდო:—
ღრიალებს ხალხი გალეშილი ღვინით,
შენ კი ეს გესმის ბრძოლის ყიჟინათ!
ბანაკთან როცა მივიდენ ახლოს,
გულშემზარავი სურათი ნახეს:
ოქროს ხბო კერპათ რომ აემართათ,
მის წინ ხმაური ეს გაემართათ.

ყოფილთა თავშესაფარი

— გიორგი, მოდი-და ჩვენც ჩავე წეროთ კოლექტივში!
— კი ჩაეწერები, შე ნუ მომიკვდე,მარა ვინ მიგიღებს? იქ მხოლოდ მღვდლებს, ოფიცრებსა და ვაჭრებს ღებულობენ *).

*) ლაპარაკია მღვდელ კიკნაძისა,ოფიცერ კიკნაძისა და ვაჭარ აბაშიძის შესახებ.

საიდუმლო გარათი

(სამტრედია)

სალამი ვასო..

კარგად ყოფილხარ გავიგე და კარგად გაპყოფოს, შენმა კეკეკობამ.

ნეტა, რაფერ მოგაგონდება მენშევიკების დრო, როცა „მასალ“ მენშევიჩეს გეძახოდენ. ის მაინც თუ გახსოვს, ტრიბუნაზე რომ გაკკოოდი: „შეგეჭმენ ბოლშევიკებო“.

მარა მოგას თავი დავანებოთ; ბაშინვე ეგოს თავმეკდომარედ წამოსულუკიდი სამტრედიაში, თუმცა არ გასულა პატარა ხანი, რომ „რიტტრატი“ გააკეთე და დაესვეს ჭონიან ნიჩაბზე. მარა შენი ნიჭს პატრონ კაცს, გზა ყველგან ხსნილი აქვს: მალე ჭუთაისის ეგოში ამოქაცი თავი, იქაც თურმე რაღაც 18.000 მანეთმა „შემოგაკამა“ თავი და დაგინიაეს.

საკვირველია რაფერ დაუძვერი ისე თოლად ამ საქმეს. ახლა, ჩემო ვასო, ვილოკავ რაიკავშირის თავმეკდომარეს მოადგილობას სამტრედიაში, სადაც დიდ ბიუროკრატობას იჩენ თურმე. ბიძია ფრთხილად იყავი, თორემ გლეხებს კარგად ახსოვს შენი წარსული...

მართლა, ვასო, დიდი სიხელე გაგიგარდა კოლექტიეების ჩამოყალიბების დროს. დიდი დიპლომატი კაცი ხარ, მუშტებით და თავლების ბრიალით აშინებდი გლეხობას ილორში, კოლექტივებში ჩაეწერეთ,—თორემ ყველას გადგასახლებთო. მაგეებით ბიძია ბოლშევიკების ჯულს შენ ვერ მოიგებ და ვერავის მოატყუებ.

ვასო, მთელი სოფელი და ქალაქი ლაპარაკობს შენზე, რომ ღიდლისათვის მოგდამაგარე წაგირთმევია და შენ დაგიყენებია. მარა რისი შეგრცხენია, სირცხვილისა და სახელმწიფო ფულების, ოდენა, გონია, ჭაბდაც არ გიჭამია.

გწერს შენი ყოფილი ამხანაგი

ბრაგუნა.

მოსემ ბრაზით კერპს ხელი რომ სტაცა, —
ქვე დაანარცხა!
შემდეგ გუზგუზა ცეცხლში ჩააგდო
და გაადნო!..
ამ დროს აარონი იქვე ხალხში იდგა.
სასტიკი გინებით მოსე იმას მისდგა:
— შე არამზადავ, ეს რა გიქნია,
ხალხი ერთიან, რომ გაგირყვნია?
თუ ვერ მოუვლიდი, — დროზე რათ არ სთქვი!
შენ კი რა გითხრა,—დაგესხას ლაფი!
აარონმა იწყო თავის გამართლება:
— ლანძღვა-გინებას მე რას მემართლები?
ვგონებ ღირსი ვარ მე მისთვის ქების,
რომ ავიცდინე ჩაქოლვა ქვებით!
თითქოს არ იცოდე ამ ხალხის ამბავი, —
რა დაუნდოა, ჯიუტი და ავი!..

**
*

ოქროს ხბოზე რა აუკრძალა ხალხს მოსემ ლოცვა,
გაიძვერებმა ჩუმათ იწყეს იქა-აქ ცოცვა.
შეთხზეს მრავალი ჭორი სხვადასხვა,
გამოიწვიეს ხალხის დაქსაქსვა.
აღარ არსებობდა ძმობა, ერთობა,
გავრცელდა ხალხში შუღლი და მტრობა.
მოსემ როცა იგრძნო საქმის გართულება,
გამოიჩინა მაშინ მტკიცე ნება:
ბანაკის წინ ის მაღლობზე შესდგა,
ბრძოლის ყიჟინით მან ხალხი შესძრა:
— ამხანაგებო, აქ მოდით ჩემთან,
საბრძოლათ მტერთან!
ვისაც სინდისის შეგრჩა ნატამალი,
წელზე შემოირტყი ხანჯალი და ხმალი!
მთლათ გავაგლოთ მუსრი,
ვინც ჩვენ საქმეს გვისვრის!
კარგათ გაიგონ, თუ როგორი არი...
წითელი ტერორი!
მოსეს მოწოდება უქმი არ აღმოჩნდა,
მისი თანამგრძნობი მრავალი აღმოჩნდა.
წითელი ლაშქარის გაჩაღდა ბრძოლა.
ლაჩრების ბანაკში შეიქნა ძრწოლა.
თუმცა ბრძოლა იყო მეტათ ფიცხელი,
მაგრამ ასპარეზი არ ჰქონდა ვრცელი.
სამი ათასამდე კაცი შეეწირა,
ეს შედარებით არის მეტათ მცირე,—
თუ რომ მივიღებთ მხედველობაში
დაჭრილ-დახოცილებს შემდეგ ომებში!
მოსემ ამ შეტევით კვლავ დაამტკიცა,—
ხელისუფლება იქნება მტკიცე,
თუ მას მშრომელი ხალხი თვით იცავს
და ხელმძღვანელი გონიერი ყავს!..

ნ თ—ია.

(გაგრძელება იქნება)

„ღმუენებლობა“ ბორჯი

მას შემდეგ, რაც გორი დაინგრა, იქაურმა გლეხობამ ღმერთი სრულიად დაივიწყა.

— ეკლესიაში ყოველ შაბათ-კვირას დავდიოდით სანთელი და საკმეველი არ დაგვიკლია ხატებისათვის, გულზე ხელებს ვიბაგუნებდით და ვამბობდით: „ღმერთო აგვაშენე“, მაგრამ აშენების მაგიერ სულ დაგვანგრია იმ კურთხეულმა!

ასე გაიძახოდენ გლეხები უკანასკნელ ხანამდე.

ბოლოს კი მდგომარეობა შეიცვალა, ქალაქის აღმასკომი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ:

— გორის აღდგენა ყოველად შეუძლებელია.

— სასკოლო მშენებლობა გორის რაიონში ძალზე მოიკოჭლებს. აქაურმა ქარხნებმა სამრეწველო - საფინანსო გეგმა ვერ შეასრულეს; ატმის მოსავალი წელს ცუდი იყო, ზოგიერთი კოლექტივი დაიშალა, ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკები დარაიონების შემდეგ პორთფელებს მაგრად ებღაუჭებიან და არ სურთ თემსაბჭოებში მუშაობა... ულმერთოთა კავშირს დამბლა დაეცა, და სხვა უბედურებანი...

— ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ გორელებმა ღმერთი დაივიწყეს! — არწმუნებდა ხალხს გორის აღმასკომის ერთი წევრი.

გასჭრა მისმა აგიტაციამ: ერთ „მშვენიერ“ სხდომაზე აღმასკომის პრეზიდიუმმა დღის წესრიგში შეიტანა ახალი ეკლესიის აშენების საკითხი. ამ დიდ საკითხს გარშემო მომხსენებლად გამოვიდა, რა თქმა უნდა, პრეზიდიუმის იგივე წევრი. მან მჭერმეტყველურად დაამტკიცა ეკლესიის აგების აუცილებლობა.

— კი, მარა უხერხულია აღმასკომისათვის ამ საქმის თაოსნობა. რაც უნდა იყოს, აღმასკომი მაინც აღმასკომია! — სთქვა ერთმა.

— შენ ფიქრი ნუ გაქვს.. ამ საქმეს ისე მოვაგვარებ, რომ ჩვენზე თვით ტარტაროზმაც ვერ მიიტანოს ეჭვი!— უპასუხა მას მომხსენებელმა.

— აბა გაგვაცანი, როგორ ფიქრობ შენ ამ საქმის მოგვარებას ისე, რომ არც „წვადი დაიწვას და არც შამფური“ შეეკითხენ მას.

— ეს საქმე უნდა მოგვარდეს ასე: ეკლესიის აშენებას ოფიციალურად ხელმძღვანელობა გაუწევს მორწმუნეთა საზოგადოება; ჩვენ მხოლოდ შეუდგენთ ეკლესიის გეგმას და მივცემთ ადგილს ეკლესიის ასაშენებლად.

— ეს ძალიან კარგი აზრია, მარა, რომ გაგვიგონ?

— ვინ გაგვიგებს, ქუჩაში ხომ არ ვიყვირებთ, რომ ეკლესიის გეგმა ჩვენ შევადგინეთო?!

— გადასწყდა. მორწმუნეთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ულმერთოთა წევრები კი ყურებ ჩამოყირილი მიდი-მოდიოდენ.

— გვაჯობეს. — ამბობდენ ისინი.

— გორის მორწმუნე საზოგადოება დაფაცურდა, შეაგროვა ეკლესიისათვის საჭირო თანხა, აღმასკომმა მას შეუდგინა ეკლესიის გეგმა და მისცა ქალაქის ცენტრში საეკლესიო შენობის ასაგებად მშვენიერი ადგილი.

კლესია ეხლა უკვე მზად არის და ამაყად უცქერის დასანგრევად განწირულ სკოლებს.

მისი „კურთხევა“ ამ დღეებში მოხდა. ამ პროცესიას პირადად დავესწარი მე. ოიგა და შიგ ნახავდით ულმერთოთა კავშირის წევრებსაც. წირვის დამთავრების შემდეგ „ბლაღოჩინმა“ სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა. ის ლოცავდა გორის აღმასკომს, მადლობას უძღვნიდა წმინდა გიორგის, რომ გორის მართლმორწმუნე ქრისტიანებმა შესძლეს გორში ახლად საეკლესიო შენობის აგება.

ძველი.

კალმის ფვერზე

ბრიანი

მუცლის გვრებას უტეხს
საბჭოთა ექსპორტი,
მისთვის გვისევს ყველას
მთელი სიბოროტით,
მაგრამ სულ ამაოთ
ეხრინწება ყრონტი,
პროლეტარიატსაც
მაგარი აქვს ფრონტი.

პილსუდსკი

კომუნისტური საფრთხე
არ ასვენებს პილსუდსკის,
დასავლეთ უკრაინას
არბევს ხარბი, პირწუწკი.
რას მიქვიან აქ, ჩვენში
სკოლა უკრაინული?—
ცოფ - მორევით ღრიალებს
იგი ტვინ გაყინული.
პოლონეთი მე ვარო—
ხიშტებით შერკინული.
და რომ უფრო განმტკიცდეს
ფაშისტური წესები,
უნდა აღმოიფხვრასო
აქ წითლების ფესვები...

სულ ამაოთ ჩაუვლის
ამ დიქტატორს ღრიალი,
ვერ უშველის პამპულას
ხმალ - ხანჯალის ტრიალი,
მალე ნახავს: საბჭოთა
დროშამ იწყოს ფრიალი!

ვენიზელოსი

საბერძნეთის პრემიერს,
თვალთმაქც ვენიზელოსს,
სურს თურქეთში გამგზავრებით
თავი „ისახელოს“.
მისი ზრახვა და მიზანი
არის ერთად - ერთი:
სურს ანტი - საბჭოთა ფრონტში
ჩაბას თურქეთი.
ჩვენ კი ხელთ გვაქვს ათინიდან
მიღებული ცნობა,
რომ ყოფილ მეფე გიორგის
სურს მისი დამხობა,
და მის ნაცვლად მონარქიის
ტახტზე ბატონობა,
რომ უფრო გააშავბნელოს
მშრომელთა მონობა.

ოჩინარი.

ხახამშრალი

(კოხნარი, გურია)

არტელს თავმჯდომარე
ვარ ვანო ლიპარტია.
დარდიც არ მაქვს სხვისი,
არა მწამს არც პარტია

ვიბრალებ ქვრივს და ობლებს...
მიტომ ვესტუმრე ღამით.
მინდოდა მისი გული
მომეგო მე ლუსმანით.

(დასახურავი ჰქონდა
იმ ქვრივ ქალს თვისი სახლი...
მას ენაცვალოს სულში
ჩვენი არტელის დახლი)...

ჰო-და, ვესტუმრე ღამით...
(ის ღამე იყო ბნელი).
დაუწყე ლაპარაკი, —
მაგრამ გულზე მკრა ხელი.

მორთო კივილი ქალმა
და გამომაგდო გარეთ...
(მოდით და ამის შემდეგ
ქვრივ - ობლებს დაეხმარეთ!).

მეურნე გლეხი.

ანდაზის მიხედვით

ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს მოედვა მუშათა გაფიცვები. (დეპეშებიდან).



— საითაც გავიქეცით იქით ფავიქეცით!

მოსავალი ევროპაში

— სოც.-დემ.: — ეს მათი ხელფასის შემცირებისაგან შემოხსული ფულია... ყურსაც ნუ ათხოვებთ მათ გაფიცვებსა და დემონსტრაციებს.

საუბარი ალკანაში

(ქრონიკალი)

— ჩემ კიმოთეს გოლმარჯოს, რასა იქ, კოლო! ბარ ფეტიეთ

— კეტიეთ კი ბარა, ისთე მგონია, მუცელში „ბაფარი" გაჩნდეთქვა—ისთე მეწვის კუჭი შიშილით, რაცხა ეშმაკთ ი ოხერ ფეტიორობილს წამოვეცეი. ისე ბოთლიშინოსდა, რომ ერთი ანსად შერეოდა—გზაზე რაც ფეფეჭაა.

— ვა, შე კაი კაცო. რაცა ხასიეთი მოიკლეულხარ. თუ ისთე ქშიოდა, აგერ მანეკ ვერ შედი. გოუნკლის სასადილოში?

— ეი ფეტი დილა არ გოლთენდა მის კამეტორისიმენს, მე მან ვეფფერი მაქაა.

— რაცა, კაცო!?

— რაცა და მოუბლოოკეი თე ანა სასადილოს, გული ამბიქარდა. ვიფიქრე, — ხალეა მიეაფეე და ოდელს ოოლიეთ ბუფეებეზეი თქეა. მოეფენე კოდეკეკ და მაშინეკ ჩაბოვეკეი ანიეთან სკამზე. ვიეკიდ ეი ეაძალი, ნორწყეი ფეკლეკეკეთ მომადგა პინეზე.

— რაფეთ მეუმაოს, თე ოკი?

— რაფეთ კეი ხანია დამეხეკეკეულია.

— დაამეხკა ლეფერომა კანტელეიმონი, თე ბეეეუშვეკეია ეს მანეკ. მოეკეოს კაცო, მიეკარს მისი ყურის გდეკა, მიტო ვიკეთენ.

— რატო ეო ფუდა ვიფეკარკეკ, ხაფეფეთ ამ ბებს სად ბეკლაპარაკეკ...

— გამარჯობით ჩემო კიმოთე გამარჯობა ბიე!

— გიგიმარჯოს ჩემო სარდიონ, გიგიმარჯოს!

ნიბლია.

ოლიფანტეს მონოლოგი

—გამარჯობა შენი ბიძია!... გავიგე სკოლის საქმეზე მევიდენო. კაი საქმეა მაი საქმე, ძალიან კარგი... იცნობდეთ ეს ჩემი ცოლი—სოფიტრე გახლავთ—მე კიდევ ოლიფანტე ნამორაძე გახლავართ, ცოტა გაზეთებს მეც ვადევნებ თვალ-ყურს. თქვენ ალბად საფოველთაო სავალდებულო სწავლის საქმეზე იქნებით მოსული... იცოცხლე და მე ვიცოცხლე მე სწავლა მიყვარდეს, მარა როცა გასაქანი არ გაქვს რას იზამ კაცი... ... ილბალია ყველაფერი ილბალი! არა, რაღა მაინც და მაინც ამ ჩვენ სკოლას ჩაეცივდენ ეს ოჯახ ამოსწყვეტები.

რა გინდა ბოშო! რას მექაჩები უკან... დეიხა ეს ბლუზა ბოშო... შენ მიკრძალავ ამ პატიოსან კაცთან ლაპარაკს თუ?. დეეგდე შენთვის მე შენ გელაპარაკები. გაბრაზებით მიმართა ოლოფანტემ ცოლს, რომელიც მას ხალათში ეზიდებოდა და განაგრძო:

—მომჭრა თავი ამ ოხერმა ამ ულეხო ადამიანთან. ხო, იმას გელაპარაკებით, აფხანავო, არაფერი ეშველა ამ ჩვენი სკოლის საქმეს. რამდენი მასწავლებელი დაგვინიშნეს იმდენი გამოცვალეს. ერთ თვეს რომ ერთია, გევიხედავთ შენი ჭირიმე და, ჭე მოგვადგება მეორე თვეს სხვა გაშვანშვალებული ქალალდით. ეგ პირველი არ ვარგიყოვო და ეს მეორე უკეთესიაო. ბიჭო, თუ არ ვარგიყო რაღას აგზავნადენ... ,იმ ოხერ რაიონში იმდენი ხალხი ჯდის და კაცი ველარ შეარჩიეს, დავიჯერო ეს?!.. ახლა ამას შენთან ვლაპარაკობ, თვარა რომ დეგიწყო ი ჩვენი თემის თავმჯდომარე კრებადანაც ქე გამომაგდებდა: შენეო ანარხისტი ხარაო.

შარშან სკოლის მზრუნველათ ამირჩიეს და მეც შეუდექი საქმეს. იმ ფანჯრებს რომ უყურებ ამხანაგო მე რომ მზრუნველად ამომირჩიეს, სულ ჩამტვრეული იყო. არც სკამები იყო საყოფი: ავდექი შენი ჭირიმე და, ჩამოუარე ისევ სოფელს; რის ვი ვაგლახით ორიოდე გროში შევაგროვე და გავაკეთე ისე, რომ სოფლის კვალობაზე არაფერი უშავდა, სწავლა შეიძლებოდა; მაგრამ აქაც ვერ გამოვიდა საქმე რიგზე: ზაფხულობით უმეტესი ნაწილი ჩვენი წასული მოწაფებისა ისევ სოფელში ბრუნდება, კაცს ეგონება ოლიფანტე იმათი დაბრუნების წინააღმდეგი არისო, არა, აფხანაკო, მართლა ასეთი ხეპრე და გაუთლელი კი არა ვარ, [illegible] არ ვიცოდე, შარა, როცა ერთ საქმეს აკეთებ და მეორის ახდენ ეს ვერ მომითმენია. შეიყრიან თავს ბოშო ზაფხულობით და იწყებდენ წარმოდგენების მართვას. ხო და ამ წარმოდგენაზე ისე ვერ გადავრჩებით, რომ ან ფანჯრის მინები არ ჩაამტვრიონ, ან კიდევ სკამებს ფეხები არ დააძრონ. აქახა ყოველ კვირას გვიმართავენ წარმოდგენას, რამდენი წარმოდგენაა, იმდენი სკამი ან ფანჯრის მინა უნდა გატყდეს. გევიხედავ და მათი წასვლის შემდეგ სკოლას არც ერთი მთელი ფანჯრის მინა და სკამი აღარ რჩება და გოუდის ქარს ხუზონი. ერთხელ შენი ჭირიმე აღმასკომთი წევედი და გავაცხადე:

—გვიშველეთ რამე: ან დამტვრევს გადაახდევინეთ, ან დაარიგეთ, რომ წარმოდგენა ისე გამართონ, არაფერი დაიმტვრეს მეთქი, ყურადღება არავინ მოგვაქცია. ჭირიქით თავმჯდომარემ ისევ მე გამამტყუნა. ეგენი კულტურული ძალა არისო და შენ კი ვერ ეხმარებიო, არა მეც ვიცი, რომ თრიატი და წარმოდგენა კარგია, მარა თუ კულტურამ და თრიატმა ფანჯრები და სკამები მიმიმტვრია მაშინ არ მინდა ძამია ეს შენი თრიატი.

მელა-კუდა.





ცდა და შედეგი

გამოცდები

ქვემო - მაჩხაანის კოლექტივის თავმდომარე პეპანოვი კოლექტივში ღებულობს მხოლოდ „ღინიერსა უოჩადებს, ხაშუალო და ღარიბ კლებობას უარს ეუბნება კოლექტივში მიღებაზე. გაზეთიდან.



— პეპანოვი: — აბა, დაიწყეთ,ბიჭებო! კოლექტივში მას მიგილებ, რომელიც მოწინააღმდეგეს დასცემთ!

წერილი ტარტაროზს

ამხ. ტარტაროზო,

ლიდი ხანია თქვენთვის წერილის გამოგზავნის სურვილი მქონდა, მაგრამ ვერ გავბედე, რადგან ჩვენი ფოსტალიონი ნესტორი უთუოთ გზაზედ დაკარგავდა წერილს. დღეს კი სიტყვა მომცა, რომ ჩემს წერილს საკუთარი ხელით წამოიღებდა და არ ჩამდებდა თავის დახეულ ჩანთაში, რომელსაც დიდი ცოდვა მოუძღვის, განსაკუთრებულ ჩვენი სოფლის შეყვარებულ ახალგაზდობასთან, ვინ იცის, რამდენი ამაღელვებელი და მგრალიტი სიტყვებით მოქარგული წერილი ჩაყლაპა ჭითურის შიგმა გზამ, მაგრამ ამაში ხომ ნესტორი არ არის დანაშაული; დანაშაული მისი პირჩამოხეული ჩანთა, რომელიც გზა და გზა ფანტავს წერილებს.

დილის ათ საათზე გამოვცხადდი აღმასკომში, მაგრამ დახეთ უბედობას, აღმასკომი დაკეტილი დაშხედა, მის კარებთან კი ტაბლად ჩაძინებული ნესტორი, რომელმაც ჩემი მისვლა გაიგო და ნახევრად მძინარემ ჩამომართვა ხელი. თანაც მითხრა: სურო (მდივანია) უნდა მოვიდეს, ფოსტა გადმომცესო

იმ იმედით, რომ სურო მალე მოვიდოდა, მეც იქვე ჩამოვჯექი და ფიქრებს მიეეცი თავი. ნესტორს კი ისევ ჩაეძინა.

საუკეთესო სანახავი იყო ის დროს ხრეითის აღმასკომის მიდამო. გარშემო სიწყნარე, ქარი არ ჭეროდა, შუადღის მზე აღმასკომის დაკეტილ ბოქლომს სხივებს უხვად ჰფენდა. ასევე მდგომარეობაში იყო სამკითხველო და მისი პირდაპირ მდებარე საკეთილდღეო სახლიც, რომლის მიხურულ კარებს იქით ტაბლად ეძინა წინა ღამით ნაქეიფარ სამეფოს თავმჯდომარე დათიკოს. ხოლო სასწავლებლის ორი კარები იყო გაღებული, სკოლის აივანზე თვისუფლად დაყეარნიდა ლავრენტის ეოკები. ამის დანახვაზე გამახსენდა სასწავლებლის გამგე დათიკო, რომელმაც ეთხოვა მოხსენების დროს სთქვა: „ფარითი უნდა გაეღოთ სასწავლებლის კარი მოზარდ თაობასო".

საათს დაცხედე. უკვე თორმეტი საათი იყო. გარშემო კვლავ სიჩუმე სუფევდა. ეთხოვა კიდევ გადავაგვლე თვალი იქაურობას და შინისკენ გაუყვეი გზას.

ვ. ლ.

გაწამაწია

ულარიბეს გლეხს მოაქვს ქერი ჩასაბარებლად: — „აბა გეთაყვათ, ჩაიბარეთ და გამიტუმრეთო". მიმღები ორგანიზაციები უჭიანურებენ საქმეს, ჯერ იღებენ, შემდეგ ისევ უკან უბრუნებენ, და ასე თარეშობენ. ეს საქმე კი არაა, არამედ უსინდისო დაცინვა და მასხარად აღება.

Ფ. მაზარაძე.

— ღარიბი გლეხი იყო ქიტო. წელს კარგი ყანა უდგა. ქერიც საკმაოდ მოუვიდა ცხრამეტი ფუთი ქერი, რომელიც ოჯახის საჭიროებას გადარჩა, მიმღებ პუნქტში წაიღო ჩასაბარებლად, რომ ამით შეგნებულად მოეხადა ვალი პროლეტარულ სახელმწიფოს წინაშე.

— რაზე გარეგილხარ ძიაგან?—შეეკითხენ ქიტოს პუნქტში.

—ქერი ჩამომიტანია და ჩაიბარეთ!

— დაწერე განცხადება.

— ვა, განცხადებაც უნდა დავსწერო, ეს რა ოხრობა რამეა, სუდია აქა თუ?

— ქიტომ ვიღაც „მადლიანს" განცხადება დააწერინა და მიმღებ პუნქტში მიიტანა, სადაც განცხადებაზე წითელი მელნით, ქიტოსთვის გაუგებარი სიტყვები წააწერეს

— აქ რა დაგიწერიათ და?—იკითხა, როცა განცხადება უკანვე დაუბრუნეს.

— ის დაგიწერია, რომ ქერს ვერ ჩავიბარებთ.

— მა პურს ღებულობთ მარტვენა?

— არცერთს არ ვღებულობთ, გაიგე.

— მა ვის ჩავაბარო ესა?

— სახლი არ გაბადია თუ?

— სახლში რომ მდომოდა, აქ კი არ მოვაქვავებდი!—ჩაიბუზღუნა ქიტომ და მდგომარეობის გამოსარკვევათ რაიაღმასკომში წავიდა.

აღმასკომში ბევრი იტრიალა ქიტომ, მაგრამ ვერაფერი გააწყო. დაცინოდენ კიდეც:

—ვა, მოგცლია ერთი, სახლი ვერ მოგინახიაო.

ბოლოს იმედ გაცრუებული, სახლში დაბრუნებას აპირებდა, რომ იღბლად ერთ მოყვარე კაცს შეხვდა:

— ნათლიმამ, იქნებ მომიბერბო რამე და ქერი მიაღებინო..

ნათლიმამა ნათელმირონობას არსად გაეექცეოდა, რაიკავშირში „ძმა-კაცი" ჰყავდა და ქიტოც მას გაუგზავნა.

„ძმა-ბიჭმა"—ქერი ჩაიბარა, მაგრამ სასწრაფოდ უკან დააბრუნა—არავინ გამიგოს და პროტექციონიზმი არ დამწამოსო. (არ ღირდა 19 ფ. ქერისათვის ბათალიაში გაბმა). მაგრამ ამავე დროს შეუძლებელი იყო წერილის ავტორის (ქიტოს, ნათლიმამის) პატიეცემის დავიწყება.

მოაგონდა, რომ მიმღებ პუნქტში მას ყავს ერთი „ძმა კაცი", რომელსაც შეეძლო ჩაებარებია ქერი.

„ძმა ბიჭმა" — ქიტო „ძმა-კაცს გაუგზავნა

„ძმა-კაცმა" ჩაბარა ქერი...

— ვა, თქვენი ჭირიმე, ეს რაღა პუნქტი ყოფილა, მე კი გავთავდი და!—წაიბუზღუნა ქიტომ ქერის ჩაბარების შემდეგ.

— რას გეკუვედრი, ქერი მოგეტანე თორემ პური ხომ არა?

— ეგეც არაფია თქვენზედ—შიაბალა გაბუზღავრებულმა ქიტომ და შინისკენ გზას გაუდგა.

ბაბაზო.



ჩხოროწყუს (ყოფ. ზუგდიდის მაზ.) კოოპერატივის ნოქარმა კაპიტონ ზარანდიამ, თავის მეგობარს—ვინმე კედიას ქალს გაუგზავნა ექვსი კილო შაქარი, 15 ცალი საპონი და „კერასინკა“.

უზ. სასამართლოს მასალიდან

ეს ამბავი გაზაფხულზე მოხდა.

გაზაფხულზე, როგორც ვიცით, იღვიძებს მთელი ბუნება და კაპიტონ ზარანდიას სენტიმენტალურ გულშიაც ათასმა ფიქრებმა, ზრახვებმა და გრძნობებმა გაიღვიძეს.

„გაზაფხულისა პირზედა
შაშვმა დაიწყო გალობა,
რა ქალმაც არ შემიბრალოს
დაიწვა მისი ქალობა“.—

ჩაიღიღინა გულში კაპიტონ ზარანდიამ და თან დაუმატა:

— არა, რომელი გიჟი შეგიბრალებს ისე, თუ შენც არ შემიბრალე? ხელი ხელს ბანს, ორივე — პირს... მაგრამ... ხომ გაიგებს საღვნო კომისია?!...

და ცოტა შეყოყმანების შემდეგ ,ისევ ჩაიღიღინა:

„ქვეყანა ჩალათ არ ღირს,
სიცოცხლე ვალად არა ღირს,
თუნდ გქონდეთ ფუთი შაქარი—
ერთ ლამაზ ქალად არა ღირს“.—

ჩაიღიღინა და გადაფარა ექვსი კილო შაქარი კედიას ქალთან გასაგზავნათ...

შემდეგ ისევ ფიქრებს მიეცა:

— შაქარი — ტკბილია, გამიჯნურებულ გულის ცემაც ტკბილია, მიჯნურის გულის მოგებაც ტკბილია?.. მაგრამ ვაი, თუ მარტო შაქარმა ვერ შესძლოს მისი გულის მოგება...

ისევ ჩაფიქრდა... და შემდეგ ისევ ჩაიღიღინა:

„ქვეყანა ჩალად არა ღირს,
სიცოცხლე ვალად არა ღირს,
გინდ გქონდეთ ფუთი საპონი
ერთ ლამაზ ქალად არა ღირს.

ჩაიღიღინა და გადადგა თუთხმეტი ნაჭერი საპონი კედიას ქალთან გასაგზავნათ.

შემდეგ ისევ ფიქრებს მიეცა:

— მორჩა!.. უთუოდ მოვთაფლავ! „გასტეხს გულსაცა მაგარსა საპონი სოდა ნარევი!“ რაზდენჯერაც დაიზანს, იმდენჯერ გამიხსენებს!..

და ჯერაც ფიქრები უფრო „გარღმავდა“::

— იქნებ ეხლაც იბანს, ვინ იცის... მერე, რომ გაცივდეს!..

და კაპიტონის თავში ახალმა აზრმა გაიელვა...

შემდეგ ისევ ჩაიღიღინა:

„ქვეყანა ჩალად არა ღირს ,
სიცოცხლე ვალად არა ღირს,
და კერასინკაც — ცხადია, —
ერთ ლამაზ ქალად არა ღირს“.

ჩაიღიღინა და გადადგა კედიას ქალისათვის მუშკოპის საწყობიდან ჩხოროწყუს მომხმარებლებისათვის „ობლად“ გამოგზავნილი ერთად ერთი „კერასინკა“.

და ყველა ეს ნივთები კაპიტონ ზარანდიამ დაუყოვნებლივ „გაბედნიერებულ“ კედიას ქალს გაუგზავნა.

სამაგიეროთ „უხვი“ კაპიტონიც გამსახლს გაუგზავნეს და ექვსი თვით „ჯდომა“ მიუსაჯეს.

არ შეიბრალა კაპიტონი არც უზენაესმა სამართლომ და კედიას ქალის გულის ნაცვლად, 6 თვის გამსახლში



ჯდომა დაუმტკიცა. არ მიიღო მხედველობაში: არც გაზაფხული (რომ ეს ამბავი გაზაფხულზე მოხდა — ბუნების და ადამიანის რომანტიულ გრძნობის საერთო გაღვიძების დროს), არც ის გარემოება,, რომ „უკერასინკოთ“ კედიას ქალი წყალს ვერ გაათბობდა და გაცივდებოდა, არც ის, რომ „ნაქარი ტკბილია“ და „საპონში სოდა ურევია“...

ზის გამსახლში გაზაფხულის „უმანკო„ მსხვერპლი, საბრალო კაპიტონ ზარანდია და ამჟამად უკვე ასე ღიღინებს:.

„ქვეყანა ჩალად არა ღირს,
სიცოცხლე ვალად არა ღირს,
მოისპოს ქალი ლამაზი,—
გამსახლში ჯდომად არ აღირს“.

მედუზა.

საჩხერელი გმირები

აქ მინაგო მუმლაძე სასადილოს გამგეა,
ძველი დროის შვილია, ჩვენთვის მეტი ბარგია.
კომისარი გახლდათ და კომუნისტებს სდევნიდა,
და აღებულ ოქროებს ჯიბეებში სტენიდა.
შემდეგ გახლდათ ვაჭარი ტყავგამძრობი ჩარჩია,
და ერთი წლის შემდეგ კი მან ნოქრობა არჩია.
აქ ამ გმირმა გაფლანგა ათასამდის მანეთი,
არ დაიკლო მინაგომ ქეიფობა, ბალეტი.
„წითელი ჯვრის“ გამგეთაც იყო ესე გმირია,
ძალზე იყვინჩებოდა, აეშვირა ცხვირია.
მისი „კავალერია“ ქამუშაძე გვარადა,
დაქოქილი ვაჭარი, საშუალო ტანადა.
„ზურნა-დოდუკ-ქალებით“ მან იჯერა გულია,
საკრედ—ამხანაგობას გაუფლანგა ფულია.
და ორმოცი თუმანი შერჩა ამ წუწკ მელასა,
სასადილოს გამგეა და აგინებს ყველასა. ტარკოჭრი.

დეპეშები

„ძარგად“ მუშაობა

ჯიხაიში. მიუხედავად ღვინის სიძვირისა, ჩვენი წითელი სასადილო სამეკიტნოს როლს მაინც კარგად ასრულებს:

ისეთი დღე არ გაიგლის,
რომ არ გატყდეს ოთხი თავი.
და გრძელდება კვლავ ქეიფი...
(უკან მოსდევს ჩხუბსა ზავი).

სამთვალა.

ბრალდება არ დადასტურდა

საბამიასერი (ჩოხატაურის რაიონი) წით. სასადილოს შესახებ გავრცელებული ხმები — თითქოს წყალნარევ ღვინოს (უფრო სწორათ — ღვინონარევ წყალს) ასხიდისო, არ დადასტურდა: გამოკვლევის დროს ყველა მოსადილენი მთვრალები დაგეხვდენ.

მგზავრი.

პრესტიჟის დაცვა

მოწამეთა*) ადმინისტრაციისა და ადიგლკომის შეხმატკბილებულმა სხდომამ დაადგინა, ქარხნის პრესტიჟის დაცვის მიზნით სამუშაოდან მოიხსნან ის მუშკორები, რომლებიც პრესაში ამხილებენ ქარხნის ნაკლს; სამაგიეროთ, დააწინაურონ ისეთები, რომლებიც ქებით იხსენიებენ ქარხანის მუშაობას.

შაკო.

„ძუძის ანთება“

სამტრედია. რკ. გზის დამზღვევ სალაროს თავმჯდომარეს კუჭში გადაცდა 19.185 მან. 19 კაპ., რამაც მას გაუჩინა კუჭის ანთება. „ავადმყოფი“ მოათავსეს გამსახლში, სადაც უაქიმებენ ექვსი წლის განმავლობაში.

ძი—ლა.

„დაბალი ღიგბე“

გეგუთი (ქუთ. რაიონი). კოლექტივიდან დაითხოვეს ნინა ურუშაძე, რადგანაც მას ეარშიყებოდა კოლექტივის თავმჯდომარე სერაფიონ წიქორიძე, რომლის „დისციპლინას“ არ დაემორჩილა პირველი.

ხლისტი.

ახალი სიმღერა

მარტვილი (სენაკი). ი. გაბისონია, რომელიც მეაოიეშუმე მუშებისათვის მიღებულ ფართალს ძმა-ბიჭებსა და თავის ნაცნობებს უნაწილებს, ასე მღერის ახალ სიმღერას, რომელიც მასზე შეთხზეს ადგილობრივად:

ჩემთან მოდით, გენაცვათ,
თინა, მარო, სონია.
გენაცვალოს სუყველას
თქვენი გაბისონია.

ჯეელი.

„ კრიზისი“

შირაქი. შემოდგომის სიცივემ გასწყვიტა ადგილობრივი ბუზები, რის გამოც შირაქის საბჭოთა მეურნეობის სასადილო განიცდის სურსათის კრიზისს. მოსადილეებს ჰკვებავენ მოხარშულ წვენითა და ხორცის შოვნის იმედით.

მნახველი.

---

*) ოქტომბრის მეთოთხმეტე წლის თავზე მაინც ნუ თუ „მოწამეთას“ და სხვა „წმინდა“ სახელებს, რომლებსაც ჩვენი სოფლები და დაბები ატარებენ, სახელწოდება არ უნდა შეეცვალოს? ტარტ.

ეუბრმოკრული

— სა მიბრიგინობ, ბოშო, მასთე გამწარებული?
— სა და იქინე, გასტინიცაშიდ.
— რაიზა?
— რაიზა და ხაბაკი მაქ იქინე და პრისტანზე უნდა წეევლო.
— ბაზარში იყიდე რამე თუ?
— კი, რავა არა,, სტალავოსთვის და ქუნინისათვის ოარელკები მაკლდა და ქალიშვილმა პლატოქები დემიბარა.
— ბოშო და შენ რომ წამოდი, იქინე მაგიერი ვინ დატოვე?
— ბასილ გუფეჩიკი; იგი გვარიანი ყაძახია.
— კარგი და პარახოდი რომელია?
— მორდავიაო თუ რაცხა, ვერ დევინახსოვრე გვარანა.
— მაგი, ბოშო, მოლდავია იქნება; მალე გავა თუ იცი?
— რა რომ დაგრუზავენ კი გავა, აპა რას იზამს.
— ჯერ-ლა არ დაუგრუზამთ?
— აჰ! ჯერ არც კი გადმოუგრუზამთ და რა რომ გადმოგრუზამენ, მერე დაგრუზამენ.
— აპა და რეიზა მიიმტკრევ ფეხებს?
— მიტომ რომე ვოჩერედი მინდა დეეიკაო.
— ზღვა ხომ გვარიანია?
— ასთე უნობდა პრისტანზე ვინცხა რომეო მერტეი ზიბი ჩანს ზღვაშიდო.
— აპა, გაკაჩავებს, ბოშო, პარახოდი.
— მაკაჩავებს თუ რაცხას მიზამს, ამელამ ვეჭველად უნდა წევიდე დილაზე სუდში ვარ დაბარებული და თუ არ გამოეცხადდი, დეეიშტრაფები.
— აპა და რაღას მეპარუსკები ტყეილა? გოუსეი, გოუსეი!

მათე.

ახია მაზე

ხონი



— უშველეთ არეშიძე იხრჩობა, გზის ოსტატი.
— ახია მაზე! რატომ გზას არ აკეთებს?

„თ ა ვ დ ა ს ხ მ ა“

(გადმოკეთებულია)

იანვრის სუსხიან დღეს კომკავშირელი მერა სხვა კავალერისტებთან ერთად მოულოდნელად თავს დაესხა საფინანსო განყოფილებას.

— მსუბუქი კავალერია ხართ?! მობრძანდით, მობრძანდით! — თავაზიანად შეეგება განყოფილების გამგე, დაწინაურებული მუშა ნამგალაძე.

მსუბუქი კავალერიის წევრებმა სხვადასხვა სექციებს მიაშურეს.

მერი ფუტკარაძე კოტე ახობაძის მაგიდას ესტუმრა.

კოტე გაფითრდა. მოწყენილად გადახედა თავის თანამშრომლებს და ახსნა - განმარტების მიცემას შეუდგა.

— აი ჩვენი ბალანსი!.. მოგება 500.000.

— 500.000? — უნდობლად უპასუხა მერიმ მკაცრი გამომეტყველებით.

— დიაღ, — 500.000. — ზრდილობიანათ უპასუხა ახობაძემ — და თუმცა ყველაფერი თავის რიგზე აღმოჩნდა, მაგრამ მსუბუქი კავალერიის მეთაური მერი მაინც უკმაყოფილოდ მოშორდა ნამგალაძის მაგიდას.

ნახევარი საათის შემდეგ მერი მეორე თანამშრომლის —ვასო მშვიდობაძის საქმეებს ჭექავდა. მისი გული ღრეჩეულოდ ძგერდა და აფეთქილ გულის გუმბათები ტალღებზე მოქანავე გემივით ადი-ჩამოდიოდა.

მერიმ ვეღარ გაუძლო მოზღვავებულ გრძნობას და ისევ ახობაძის მაგიდისკენ გამობრუნდა.

ახობაძე გაოცდა.

— ერთხელ კიდევ გადაეშინჯოთ ამხანაგო, თქვენი აზრით მოგება რჩება?

— რჩება.

— 500.000?

— 500.000.

მიუხედავად ამისა მერიმ მეორეთ შეამოწმა ახობაძის მიერ გამოყვანილი ბალანსი.

— მაჯინდება... შარს უნდა გადამკიდოს. — აღელვებული გრძნობით ფიქრობდა ახობაძე.

მთელი ღამის განმავლობაში მერი სულ ახობაძეზე ოცნებობდა, მეორე დღეს დილით მერიმ სრულიად შემთხვევით ახობაძის საცხოვრებელ ბინასთან გაიარა და ღია სარკელთან მდგომი ახობაძე დაინახა.

ახობაძეს ხელში ბუტერბროდი ეჭირა და რაღაც საქმეზე ულარდელათ იცინოდა.

— შემიყვარდა! აშკარდ შემიყვარდა... — გაიფიქრა მერიმ.

მოკლე ხანში მერიმ მსუბუქი კავალერიის შტაბში შეირბინა; წაიყვანა ორი კავალერისტი და ახობაძის დავთრებზე მესამე თავდასხმა მოაწყო.

ახობაძე სამსახურში მერის მისვლის დროსაც ბუტერბროდს შეექცეოდა და მერის დანახვაზე საწყალ მოხელეს პური ხელიდან გავარდა.

ბალანსის გადასინჯვამ მთელი საათი გასტანა. მერი აბნეულ შეკითხვებს აძლევდა გაფითრებულ ახობაძეს, რომლის აღელვებაც კიდევ მეტ ეშხს აძლევდა მის გარეგნულ სილამაზეს.

— ღელავს... უთუოდ მოეწონე... საყვარულისაგან ღელავს... — ფიქრობდა მერი.

— ავანსები გაქვთ თუ არა გაცემული თანამშრომლებზე? — ეკითხებოდა თავაზიანათ მერი.

— არა, არ ირიცხება... თუმცა... ჰო,.. კი, — ირიცხება. წიგნში გვაქვს გატარებული.

მესამე თავდასხმას მეოთხე მოყვა.

მეოთხეს — მეხუთე.

— კარგი ბიჭია ახობაძე, მაგრამ საზოგადოებრივ მუშაობაში არ არის ჩაბმული. — ეუბნებოდენ საფინანსო განყოფილების დერეფანში მერის მს. კავალერიის წევრები მეექვსე თავდასხმის დროს.

მერვე თავდასხმის შემდეგ საფინანსო განყოფილების თანამშრომლებმა მსჯელობა დაიწყეს ახობაძის გარშემო შექმნილ მდგომარეობის შესახებ.

— ცუდათ არის შენი საქმე, ამობილო!

— ჩაგემტერენ!..

— ალბათ „რაცხა“ გინახეს. — ეუბნებოდენ მას ამხანაგები.

— ვერაფერიც ვერ მინახეს. ბალანსი ზუსტათ მაქვს გამოყვანილი. ყველაფერი თავის რიგზეა! — უპასუხებდა ახობაძე.

— საზოგადოებრივ მუშაობას არ ეწევი! — უსაყვედურა ნამგალაძეს განყოფილების გამგემ.

— როგორ არა: დედათა და ბავშთა დაცვის საზოგადოების მიერ გამართულ საღამოზე ლატარია ვითამაშე და გრამაფონი მოვიგე. შარშან ორჯერ ვიყავი ჩვენს სოფელში თამადათ არჩეული.

— ეგ საზოგადოებრივი მუშაობა არ არის. სხვადასხვა თავისუფალ საზოგადოებებში უნდა ჩაეწერო.

მეთერთმეტე თავდასხმის შემდეგ ახობაძე რემედასში ჩაეწერა.

მეჩვიდმეტე თავდასხმის დროს მის უბეში წერკუმსის და თავდაცვა-ავიოქიმის საწევრო წიგნაკები იყვენ ჩალაგებულნი.

მეცხრამეტე თავდასხმის დროს ადგილობრივ კედლის გაზეთს ახობაძის მიერ დაწერილი მეთაური ამშვენებდა სოც. შეჯიბრების შედეგების და შემხვედრი გეგმის შესახებ.

მერის სიყვარულის ტემპი კი საკუთარი გზით იზრდებოდა და ვითარდებოდა. მეტის მოთმენა ვეღარ შესძლო; — გადაწყვეტა დაფარულ გრძნობის გამეღავნება.

— ალბათ გაგაკვირვებთ რასაც მე გეტყვით!..

შეშფოთებული ხმით უთხრა ახობაძეს მერიმ მეოცდაერთე „თავდასხმის“ დროს.

— ყველაფერი თავის რიგზე მაქვს — უპასუხა ახობაძემ და მაგიდის ჯჯრიდან ისევ დავთრების ამოღებას შეუდგა.

— მე თქვენზე ძალიან ბევრს ვფიქრობ. უკანასკნელ ხანებში ჩემთვის ნათელი გახდა...

— რასაკვირველია, რასაკვირველია! ყველაფერი თავის რიგზე მაქვს...

— მთელი ღამეები აღარ მძინავს... თეთრად ვათენებ...

— არც მე მძინავს... თქვენი პირველი გამოჩენის შემდეგ წუთით ვეღარ ვისვენებ...

— ახ... ნუ თუ მართლა!... რა ბედნიერი ვარ!

— არ მესმის რა გიხარიათ, — კაცი ეილუპები; სანთელივით ჩამოვდნი და თქვენ კი გიხარიათ...

პირველ თავდასხმის დროსვე ვიგრძენი, რომ მე თქვენ შეგიყვარდით.

— მე?!.. თქვენ?!

— თქვენ... მე— გიჟო ბიჭიკო.

— თვენ შეგიყვარდით? — არაოდეს.

მართალია? არ გაყვარვარ?

— სრულიადაც არა. როგორ მეყვარება ჩემი მეუღლო ცხოვრების ამრეკი.

მერი გაჩუმდა და მცირე პაუზის შემდეგ ღსიტყვოდ გაშორდა ახობაძის მაგიდას.

„თავდასხმები“ შეწყდა. ახობაძე კი მერის „თავდასხმების“ წყალობით ისე ჩაება საზოგადოებრივ საქმეში, რომ მთელ უწყებაში ყველაზე უფრო აქტიური მუშაკი გახდა.

ალი.

„ციხე შიგნიდან გატყდება“,
ასეა ძველი თქმულება.
სწადს კოლექტივში შეძრომა.
გამოიცვალა გუნება.

მაგრად ამოჰკრეს პანღური,
კულაკს გაუგეს ყოველი;
აღარ დასცალდა საბრალოს,
გადააფრინეს სოფელი.

გ ო ნ დ ო რ ი

მეა ოშეეთელ პოეტს (ჭიათურა) მეშვიდე ტაეაი თქვენი ლექსისა ასეთია:

სევერიან გამოსჩიმეს
გაზეთ „მაღაროელშია“.
ამ წლის რიცხვში ცამეტ აპრილს,
ეს როგორც ხოშის კაცია...

და გვპირდებით, რომ გაგრძელება კიდევ იქნებაო. გააგრძელეთ, ხოლო ჩვენ ნუ გამოგვიგზავნით.

ხუნწელს (ს. ხუნწი, მარტვილის რაიონი). თქვენ გსურთ — საყვედური გამოუცხადოთ ალეგროს მომწყობ კომისიას იმ სიძვირისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონია კლუბში საღამოს გამართვის დროს.

„მოვითხოვე და მომიტანეს: ერთი წიწილა, ორი ბოთლი ღვინო, ერთი პორცია გოჭი, ორი პორცია პური და ერთი ყველი... და გადამახდევინეს 19 მან. 80 კაპ“.

აქ საკვირველი არაფერია; ორივე მხარეს გქონებიათ მადა, პირველს — (ე. ი. — თქვენ) ჭამის, მეორეს — ფულის შოვნისა.

სამტრედიელ კოკის (აქვე). ტფილისის სასაიილოებზე საყვედურს ამბობთ, რომ:

ყურადღებას არავინ მაქცევს,
შემომაწვა გულზე დარდი.
ერთი მაგრად შევიგინე,
ავდექი და გამოვედი.

კარგად მოქცეულხართ, რომ წამოსულხართ გაჯავრებული, მაგრამ ჩვენ რას გვერჩით ასეთი ლექსის გამოგვანით!

სატანას (აქვე). როგორც სჩანს თავი მართლაც სერიოზულად დაგზიანებიათ ლოგინიდან გადმოვარდნის დროს, თორემ მთელი (დაუზიანებელი) თავი ასეთ ლექსს არ დასწერდა. (ალბათ ცოდვამ გიწიათ ასეთი ლექსის დაწერისათვის), თავის გამოჯანსაღების შემდეგ, ე. ი. თავის მორჩენის შემდეგ, სინჯეთ სხვა ამბის დაწერა; უკეთესად დასწერთ.

კვიმატს (ზუგდიდი). რატომღაც გაუგებარია ჩვენთვის ეს ადგილი თქვენს ლექსიდან:

ქალაქის ბაღს ინახულებ—
სევდა - ნაღველს ავაშორებს.
როცა ნახავ მოხეირნე
პატიოსან თხას და ღორებს.

რატომ არ იწერებით, თუ რაში გამოიხატება მათი **პატიოსნება?!**

ციგანს (ზესტაფონი). ჩვენ ექვი შეგვეძლო, რომ თქვენ მანდ **ხეირიანი მასალა** გამონახოთ, რადგან თქვენ თავისთვის ფსევდონიმიც ვერ გამოგინახავთ ხეირიანი. მართალია, ეს სიტყვა სათაკილო სიტყვა არ არის, მაგრამ სოფლად ამ სიტყვით უარყოფით პიროვნებას ახასიათებენ.

რედაქტ.: სარედაქციო კოლეგია, გაზ. „მუშა“-ს გამოცემა მთავ. № 1310

1930

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია
ილ. ჭ. ჭავჭავაძის
სახელობის
ბიბლიოთეკა-ნუმუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

როცა ბიბო კერძო მეურნეობას მისდევდა, მისი მოსავალი კურდღელს აეკიდებოდა ზურგზე.

(იხ. პირველი გვ.).